



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება:გ-49.49203325

თარიღი:27/11/2020

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №36 84

სს „სილქნეტი“-სათვის სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, ერთი წლის ვადით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, წერეთლის ქუჩა N6-ის მიმდებარედ განთავსებული გარე განათების კონსტრუქციების (ელექტროგადამცემი ხაზი-ფაქტობრივი სიგრძე 100 მ. და ბოძი 5 ცალი; საკ.კოდი N29.00.452) გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2020 წლის 24 ნოემბრის №48-4820329105 წერილი, რომელშიც სს „სილქნეტის“ განცხადების საფუძველზე ითხოვს თანხმობას აღნიშნულ განმცხადებელს, საკომუნიკაციო ქსელის მოწყობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით გადაეცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, წერეთლის ქუჩა N6-ის მიმდებარედ განთავსებული გარე განათების კონსტრუქციები (ელექტროგადამცემი ხაზი-ფაქტობრივი სიგრძე 100 მ. და ბოძი 5 ცალი; საკ.კოდი N29.00.452).

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 122-ე მუხლის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს, სს „სილქნეტს“ საკომუნიკაციო ქსელის მოწყობის მიზნით, სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით, ერთი წლის ვადით გადასცეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ წყალტუბოში, წერეთლის ქუჩა N6-ის მიმდებარედ განთავსებული გარე განათების კონსტრუქციები (ელექტროგადამცემი ხაზი-ფაქტობრივი სიგრძე 100 მ. და ბოძი 5 ცალი; საკ.კოდი N29.00.452).
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი,

პაატა ახალაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე (დროებით მოვალეობის
შემსრულებელი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

